www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017

დეკემბერი

22.01.2018

www.geostat.ge

22.01.2018

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის დეკემბერი

2017 წლის დეკემბერში **სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა** ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0,8 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 8,7 პროცენტით გაიზარდა.

2017 წლის დეკემბერში წინა თვესთან შედარებით გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე ფასები შემცირდა 0,6 პროცენტით, რაც ინდექსის მთლიან მაჩვენებელში აისახა -0,48 პროცენტული პუნქტით. ჯგუფში ფასების კლება დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (-1,4 პროცენტი) და ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (-0,8 პროცენტი).

ფასები 2,1 პროცენტით შემცირდა ჯგუფზე **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი,** რამაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაში -0,28 პროცენტული პუნქტი შეიტანა.

12 თვიან პერიოდში ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ პროდუქტებზე:

- **გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 8,5 პროცენტით და შესაბამისმა წვლილმა ინდექსის პროცენტული ცვლილების საერთო მაჩვენებელში 7,02 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა კვების პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე (8,1 პროცენტი), ძირითად ლითონებსა და ლითონის მზა ნაწარმზე (16,4 პროცენტი), აგრეთვე ქიმიურ ნივთიერებებზე, ქიმიურ პროდუქტებსა და ქიმიურ ბოჭკოებზე (11,4 პროცენტი);

- **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი:** ფასები გაიზარდა 9,2 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ცვლილებაში 1,2 პროცენტული პუნქტით აისახა;

- **სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია:** ფასები გაიზარდა 11,0 პროცენტით, რაც მთლიანი ინდექსის ზრდაზე 0,52 პროცენტული პუნქტით აისახა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით) და ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში

2017 წლის დეკემბერი

კოდი	ჯგუფები	2017 წლის ნოემბერთან	წვლილი[1] თვის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2016 წლის დეკემბერთან	წვლილი[1] წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**99.2**	**-0.83**	**108.7**	**8.74**
C	**სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია**	**98.7**	**-0.06**	**111.0**	**0.52**
CA	ქვანახშირი და ლიგნიტი; ტორფი; ნედლი ნავთობი და ბუნებრივი აირი; ურანი და თორიუმი	102.8	0.02	110.0	0.07
CB	ლითონის მადნები და სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების სხვა პროდუქცია	97.9	-0.08	111.2	0.44
D	**გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**99.4**	**-0.48**	**108.5**	**7.02**
DA	კვების პროდუქტები, სასმელები და თამბაქოს ნაწარმი	98.6	-0.54	108.1	3.10
DB	ტექსტილი და საფეიქრო ნაწარმი	102.7	0.05	98.6	-0.03
DC	ტყავი და ნაწარმი ტყავისაგან	99.2	0.00	84.0	-0.06
DD	მერქანი და მერქნის ნაწარმი	100.0	0.00	108.9	0.11
DE	ცელულოზა, ქაღალდი და ქაღალდის ნაწარმი; ინფორმაციის მატარებლები; პოლიგრაფიული მომსახურება	100.0	0.00	96.8	-0.12
DF	კოქსი, ნავთობის გადამუშავების პროდუქტები და ბირთვული სათბობი	106.0	0.01	119.7	0.05
DG	ქიმიური ნივთიერებები, ქიმიური პროდუქტები და ქიმიური ბოჭკოები	101.3	0.08	111.4	0.69
DH	რეზინისა და პლასტმასის ნაწარმი	99.0	-0.03	113.5	0.36
DI	სხვა არალითონის მინერალური ნაწარმი	100.5	0.05	103.2	0.32
DJ	ძირითადი ლითონები და ლითონის მზა ნაწარმი	99.2	-0.12	116.4	2.26
DK	მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.0	0.00	91.7	-0.05
DL	ელექტრული და ოპტიკური მოწყობილობები	100.1	0.00	137.8	0.27
DM	სატრანსპორტო მოწყობილობები	99.6	0.00	105.9	0.04
DN	სხვა სამრეწველო საქონელი, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	100.7	0.01	104.6	0.08
E	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი**	**97.9**	**-0.28**	**109.2**	**1.20**

[1] რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა თვე = 100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე =100)



სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან)



საკონტაქტო პირი: გიორგი თეთრაული
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: gtetrauli@geostat.ge